სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/64

ქ. თბილისი 28 თებერვალი 202

2020 წლის 9 იანვრის გაზეთ „რეზონანსში"საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის საბოლოო შედეგების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის, ,

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დარგობრივი საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, ჯუმბერ იოსებიძის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 თებერვლის №01-05-02/11ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად 2020 წლის 9 იანვრის გაზეთ „რეზონანსში" გამოცხადებული კონკურსის საბოლოო შედეგები (იხ. დანართი);
2. ამ დადგენილების პირველი პუნქტით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს ბეჭდური მედიის საშუალებაში და განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე;

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი ი. კუტუბიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

რექტორს, ბატონ დ. გურგენიძეს

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის
ფაკულტეტის დარგობრივი საკონკურსო
კომისიის თავმჯდომარის ჯუმბერ იოსებიძის

მოხსენებითი ბარათი

წარმოგიდგენთ 2020 წლის 9 იანვარს გაზეთ „რეზონანსში“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დარგობრივი საკონკურსო კომისიის (სხდომის ოქმი №1) მიერ ჩატარებული კენჭისყრის შედეგებს საგანთა ჯგუფების მიხედვით

საგანთა ჯგუფის №	დასაკავებელი თანამდებობა	ვაკანსია	გამარჯვებულის სახელი და გვარი
100	ასოცირებული პროფესორი	1(400 სთ)	მურთაზ პაპასკირი
99	პროფესორი	1(200 სთ)	ალექსანდრე დუნდუა
102	პროფესორი	1(200 სთ)	ნინა მუხუგულაშვილი
80	პროფესორი	1(400 სთ)	ნუნუ მუმლაძე

გთხოვთ კონკურსის შედეგები დაამტკიცოთ აკადემიური საბჭოს სხდომაზე.

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის
ფაკულტეტის დარგობრივი საკონკურსო
კომისიის თავმჯდომარე

ჯუმბერ იოსებიძე